



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 707/ს



01/06/2021

707-11-4-202106011633

**სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის I, II, III და IV ხარისხის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის მრგვალი ხეტყის (მორის)– სულ - 233,69 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N254) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე და 84-ე, მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 15 თებერვლის დასკვნის N000923421, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხეტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების და სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2021 წლის 25 მაისის N6062/07 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N254 სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული ადიგენის სატყეო უბნის, კურცხანის სატყეო N15 კვარტალში (ლიტ 17) სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრის შედეგად დამზადებული 233,69 მ<sup>3</sup> წიწვოვანი სახეობის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის) I, II, III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხეტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი